

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის
ოქმი N 29

11მარტი , 2025 წელი, 15:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

- ქალაქი ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3,
- ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე-2 სართულზე არსებული საკონფერენციო დარბაზი

ფრაქციის სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნიჟარაძე მარეხი, შენგელია ირაკლი, ბასილაძე გია,ჩიხლაძე მანანა, სიმონიძე მაია , მახარაძე ბაქარი, ლილუაშვილი პაატა, რიჟამაძე მამუკა, გიორგაძე მიხეილი.

სულ ესწრებოდა:9 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ჯუღელი თეა, კოსტავა მაგდა, მხეიძე დიმიტრი,კოპალეიშვილი ამირანი,მამასახლისი ზაქრო, ბიბილეიშვილი ჯემალი,ხამაშურიძე ბესიკი,ნადირაძე თემური.

სულ: 8 წევრი.

სხდომაში მონაწილეობდნენ: ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ “სპეციალური სერვისების”სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ არსენიძე. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი დავით ჭეიშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ.

მოისმინეს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“

N29 სხდომის დღის

წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ N29 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ “სპეციალური სერვისების” სამსახურის მიერ 2025 წლის შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ;

ბატონი თენგიზ არსენიძე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
“სპეციალური სერვისების” სამსახურის
ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2025 წლის შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ;

ბატონი დავით ჭეიშვილი

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების ხელმძღვანელი

2.მომდინარე საკითები

ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ ფრაქციის N29 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოიხმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი-

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარადგინა ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ სამსახურის ხელმძღვანელმა ბატონმა თენგიზ არსენიძემ:

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ 2025 წელს ორი თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ:

2025 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში“ დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 9 350 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 000 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 1 427 406,12 ლარი და 44 174,18 ლარი საკუთარი სახსრებიდან.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებს“ 2024 წლის საკუთარი სახსრების ბიუჯეტიდან გადმოყვა 316 877,34 ლარი. დამატებით მიიღო 213 502,65 ლარის შემოსავალი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 7 482,6 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 139 896 670,0 მ² ქალაქის ქუჩები. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 18,8 ტონა ტექნიკური მარილი და 132,06 მ³ ქვიშა.

დაიწნება ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 51 შეკვრა მუყაო. 2024 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 39 შეკვრა მუყაო და 33 შეკვრა პლასმასი.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურს 2024 წლიდან გადმოყვა 91,7 ტონა დაქუცმაცებული ნედლეული და 29,5 ტონა მზა პროდუქტის ნაყარი. 2025 წელს ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვით და სხვლა-ფორმირებით და მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად გადამუშავდა 6,6 ტონა კომპოსტირებული მასალა (დაქუცმაცებული ნედლეული).

გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 26 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 9 ძირი ხე. საშემე მერქანით დაკმაყოფილდა 20 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 17 დაგეგმილი სამუშაო.

უმეტვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 197 ძალი და 7 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 16 ძალი, 5 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 7 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 18 ძალს. ბუნებრივად გარდაიცვალა 5 ძალი. ოპერაცია ჩაუტარდა 232 ძალს, აიცრა 232 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 208 ძალი.

მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 193630 მ² ტერიტორია. დეზინსექცირდა სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა 3220 მ² ფართობი, დეზინფექცირდა 159462 მ², ასევე შეიწამლა 339 სველი წერტილი.

გაიწმინდა - 5733 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 680 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 300 მ² ფართობი. შესრულდა - 582 სხვა დამატებითი სამუშაო. სულ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა არის 136.

დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე: „მადლობა ბატონო თენგიზ საინტერესო და საკმაოდ ვრცელი ანგარიშის წარდგენისთვის. მინდა წარმატებები გისურვოთ თქვენ და თქვენს თანამშრომლებს საქმიანობაში. თქვენი სამსახური არის მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული, ამიტომ მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათი პრობლემების მოგვარებას,რის გამოც ჩვენ ხშირად მოგვიწევს შეხვედრები და კომპეტენციის ფარლებში მათი პრობლემების შესწავლისა და გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. მე მაქვს რამოდენიმე კითხვა თქვენთან, პირველი რაც მაინტერესებს,ხშირია მოსახლეობის მომართვა ქალაქში დაზიანებული ატრაქციონების რეაბილიტაციის მოთხოვნის შესახებ,საინტერესოა ამ მხრივ რა ღონისძიებები იგეგმება?“

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ “სპეციალური სერვისების”სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ არსენიძე: ამ ეტაპზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას

ვერ მოგაწვდით .მიმდინარეობს პროექტებზე მუშაობა და უახლოეს მომავალში გვექნება დაზუსტებული ინფორმაცია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე: მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე ცნობილია,რომ ქალაქის უბნებში საჭიროა დამატებით ნაგვის შემკრები ურნების გათავსება, მაინტერესებს არის თუ არა შესაძლებელი?

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ “სპეციალური სერვისების”სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ არსენიძე: აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე შევიძინეთ 1000 ნაგვის შემკრები ურნა, რომლებიც გადანაწილებული იქნება მოქალაქეების მოთხოვნიდან გამომდინარე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი ზაქარ მახარაძე: ვიცით, რომ ქალაქში გვაქვს ხეების გადაბელვის პრობლემა,მაინტერესებს იგეგმება თუ არა აღნიშნული საკითხის მოგვარება?

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ “სპეციალური სერვისების”სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ არსენიძე: აღნიშნულთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ,რომ იგეგმება ტექნიკის შეძენა,რაც დაგვეხმარება პრობლემის მოგვარებაში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ბასილაძე გია: არის თუ არა რაიმე სიახლე სპორტის მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით,რომელიც საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას?”

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ “სპეციალური სერვისების”სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ არსენიძე: „აღნიშნული საკითხი ჩვენი სამსახურისთვის ცნობილია და როგორც ვიცი მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები პრობლემის მოგვარებისათვის, თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება არ შემიძლია.”

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე :„თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვაქვს გადავიდეთ კენჭისყრაზე. ვინ არის თანახმა ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.“

მომხრე-9,წინააღმდეგი-0.

ღია კენჭისყრით, ერთხმად და ა ა დ გ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "სპეციალური სერვისების" სამსახურის მიერ 2025 წლის შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ შეფასდეს დადებითად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა 2025 წლის 3 თვეში მუნიციპალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესრულების მიზნით, კერძოდ:

ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა – პატრონობის საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია:

ვაჟა-ფშაველას ქუჩის №2–დან №14–ის ჩათვლით გზის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

მიმდინარეობს:

დავით და კონსტანტინეს ქუჩის პირველი შესახვევის გზისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

35–ე საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

მესხიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

კოსტავას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

ანჯაფარიძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

ხანძთელის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

ასლანიკაშვილის ქუჩის #70-დან ჩანჩიბაძის კვეთამდე გზის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

ბერაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

სულხან საბას ქუჩის ბოლო მონაკვეთის (#33-დან -79 მდე) საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა (ბეტონის გზა) (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეკეთების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ასფალტის, ბეტონის საფარის, გრანიტისა და დეკორატიული ფილების საფარის შეკეთების სამუშაოები.

სანიაღვრე სისტემების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით

გათვალისწინებული სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბუნებრივი სასულებების ექსპლოატაცია, სადაც პერიოდულად ხდება ბუნებრივი სასულებების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია 70,0 ათასი ლარის ფარგლებში.

მიმდინარეობს:

ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის კალაპოტის, არხის გასწვრივ ტროტუარისა და გამწვანების მოწყობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის კალაპოტის, არხის გასწვრივ ტროტუარისა და გამწვანების მოწყობა (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

ჩორგოლიანის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

მესხის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

ბელინსკის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

საყრდენი კედლების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:

დასრულდა:

მაჭავარიანის ქუჩის №7-თან საყრდენი კედლის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 30.05.2024 წლის №746 განკარგულება)

თომაშვილის ქუჩის N16-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 30.05.2024 წლის №746 განკარგულება)

პეტრიწის ქუჩის #14-თან საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 30.05.2024 წლის №746 განკარგულება)

ნეკრასოვის ქუჩის #12-თან საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 30.05.2024 წლის №746 განკარგულება)

მწვანე ყვავილასი ქუჩის #18 საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 30.05.2024 წლის №746 განკარგულება)

მიმდინარეობს:

პეტრიწის ქუჩის II ჩიხი N#9 - #12 საყრდენი კედლის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

შ. რუსთაველის გამზირის №24 ბინის მიმდებარედ არსებული კედლის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება)

გელათის ქუჩის #165 საყრდენი კედლის მოწყობა

პეტრიწის #39 საყრდენი კედლის მოწყობა

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

ავტოქარხნის სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება)

ასევე, მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და ექსპლატაციის სამუშაოები

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული
სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება)

დავით აღმაშენებლის გამზირი #5-ში მდებარე მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 30.05.2024 წლის №746 განკარგულება)

#11 ბაღის ფასადის რეაბილიტაცია

#21 ბაღის სახურავის რეაბილიტაცია

რეკრეაციული ინფრასტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა (საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის №1419 განკარგულება)

ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრასტრუქტურისთვის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) ეზოსა, საინჟინრო ქსელებისა და აგრეგატების მოწყობა

საფიჩხის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 2023.12.28 წლის №2402 განკარგულება)

მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია:

პროექტის ფარგლებში დასრულებულია:

რუსთაველის გამზირისი №95, №97 და №98 სახლების ფასადების რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

მიმდინარეობს:

ზ. გამსახურდიას ქუჩის #1 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 12.31.2024 წლის №1955 განკარგულება)

ზ. გამსახურდიას გამზირის #30 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 12.31.2024 წლის №1955 განკარგულება)

ზ. გამსახურდიას გამზირის #40 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია

ზ. გამსახურდიას გამზირის #42 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 12.31.2024 წლის №1955 განკარგულება)

ზ. გამსახურდიას გამზირის #15 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია
(საქართველოს მთავრობის 12.31.2024 წლის №1955 განკარგულება) მიმდინარეობს:

რუსთაველის გამზირის #95-97-98 ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის
განკარგულება N2402, 28.12.2023)

ზ. გამსახურდიას გამზირის #17 ბინის ფასადის რეაბილიტაცია
(საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402, 28.12.2023)

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება:

მიმდინარეობს : "მდინარე ოლასკურას კალაპოტის რეკონსტრუქცია – რეაბილიტაცია
(მესამე მონაკვეთი);

Design-Build მეთოდით, ქალაქ ქუთაისში, გაფრინდაშვილის ქუჩაზე ს/კ 03.02.26.550,
03.02.26.465 და მათ შორის არსებული და მიმდებარე ტერიტორიის; კიკვიძის ქუჩის II ჩიხის, #2-
სა და რუსთაველის გამზირის მეექვსე ჩიხში ს/კ 03.02.26.102 მიმდებარე ტერიტორიის; რუას
ქუჩის I ჩიხი #17 მიმდებარე ტერიტორიის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

კიკვიძის ქ. N9-ის და პეტრიწის ქუჩის N21-ის მიმდებარედ საყრდენი კედლების მოწყობა
(საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2400 განკარგულება)"

წერეთლის ქუჩის მე-3 შესახვევის #2ა-ს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა
(საქართველოს მთავრობის 20.01.2023 წლის №116 განკარგულება)

სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი
ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია:

მიმდინარეობს:

როძევიჩის ქუჩის N2ა-ში მდებარე N11 სპორტული სკოლის რეაბილიტაცია (საქართველოს
მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

#17 სპორტული სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის
№1955 განკარგულება)

"ტანვარჯიშის დარბაზის სრული რეაბილიტაცია;

#12 სპორტსკოლის ფილიალის სრული რეაბილიტაცია;

ტაიკვანდოს

სპორტსკოლის სრული რეაბილიტაცია;

ჭადრაკის სკოლის (ბალახვანში) სრული რეაბილიტაცია."

№17 სპორტული სკოლის კრივის დარბაზისა და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია
(საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების ავარიული

საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია

მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია

მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა

აქტივობები არ განხორციელებულა

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების

რეაბილიტაცია

გამოცხადებულია ტენდერი ჯავახიშვილის 1შეს. N15; აღმაშენებლის N43; სულხან-საბას

N81; თამარ მეფის N90; მესხის ქ. N3; ი. ჭავჭავაძის N51; ი. ჭავჭავაძის N55

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია

1 ავტომშენებლის N31ა დასრულდა

2 ხარეზავას N9 დასრულდა

3 ხარეზავას N8 დასრულდა

4 ი. ჭავჭავაძის N52 (1-ლი სად.) დასრულდა

5 ი. ჭავჭავაძის N52 (მე-2 სად.) დასრულდა

6 ი. ჭავჭავაძის N52 (მე-3 სად.) დასრულდა

7 ი. ჭავჭავაძის გამზ. N9ა დასრულდა

8 ი. ჭავჭავაძის გამზ. N46 დასრულდა

- 9 ი. ჭავჭავაძის გამზ. N15 დასრულდა
- 10 სულხან-საბას N91 დასრულდა
- 11 წმინდა ნინოს N1-3-5 დასრულდა
- 12 თაბუკაშვილის N215 დასრულდა
- 13 თაბუკაშვილის N32 დასრულდა
- 14 თაბუკაშვილის N88 დასრულდა
- 15 თაბუკაშვილის N203 დასრულდა
- 16 კაკაურიძის ქ, N5 (ს.წ.) დასრულდა
- 17 კაკაურიძის ქ, N5 (კან.) დასრულდა
- 18 ნიკეას მე-2 შეს. N10 დასრულდა
- 19 ნიკეას მე-2 შეს. N6 დასრულდა
- 20 ბუხაიძის მე-2 მკრ. N12 დასრულდა
- 21 ნიკეას N36 დასრულდა
- 22 ხარეზავას N5ბ დასრულდა
- 23 ც. დადიანის N9 დასრულდა
- 24 ხარეზავას N19 დასრულდა
- 25 თაბუკაშვილის N34 (ჩრდილოეთი) დასრულდა
- 26 თაბუკაშვილის N34 (სამხრეთი) დასრულდა

N ადმ.ერთ. მისამართი სად. შენიშვნა

- 1 ავტოქარხანა ავტომშენებლის N21 1 გამოცხადებულია
- 2 ავტოქარხანა ავტომშენებლის N21 2 გამოცხადებულია
- 3 ავტოქარხანა ავტომშენებლის N21 3 გამოცხადებულია
- 4 ქალაქ-მუზეუმი ვარლამიშვილის N16-18-

20 1 გამოცხადებულია

5 ნიკეა ნიკეას N44ა 2 გამოცხადებულია

6 ნიკეა ნიკეას N44ა 3 გამოცხადებულია

7 ნიკეა ნიკეას N44ა 4 გამოცხადებულია

8 ნიკეა ნიკეას N44ა 6 გამოცხადებულია

9 კახიანური ახალგაზრდობის N100 1,2 გამოცხადებულია

10 ძელქვიანი ი. ჭავჭავაძის N6 4 გამოცხადებულია

11 გამარჯვება ბუხაიძის მე-2 მკრ. N12 4 გამოცხადებულია

12 ავტოქარხანა ავტომშენებლის N41 1 გამოცხადებულია

13 ავტოქარხანა ხარებავას N42 1 გამოცხადებულია

14 ავტოქარხანა ხარებავას N9 1 გამოცხადებულია

15 ავტოქარხანა ხარებავას N9 2 გამოცხადებულია

16 ავტოქარხანა ხარებავას N9 3 გამოცხადებულია

17 ავტოქარხანა ხარებავას N9 4 გამოცხადებულია

18 ავტოქარხანა ავტომშენებლის N32 2 გამოცხადებულია

19 ავტოქარხანა ავტომშენებლის N10 3 გამოცხადებულია

20 ნიკეა ნიკეას N46 1,2,3,4 გამოცხადებულია

21 ავტოქარხანა კ. მესხის ქ. N1ა 3 გამოცხადებულია

22 ავტოქარხანა კ. მესხის ქ. N3 1 გამოცხადებულია

23 გამარჯვება გრ. აბაშიძის N4 1 გამოცხადებულია

24 გამარჯვება ი. აბაშიძის N17გ 1 გამოცხადებულია

25 გამარჯვება ი. აბაშიძის N17გ კიბე გამოცხადებულია

26 გამარჯვება 9 აპრილის ქ. N8 1 გამოცხადებულია

27 გამარჯვება 9 აპრილის ქ. N8 4 გამოცხადებულია

9 აპრილის ქ. N8 მრავალსართულიანი ბინის მეორე სადარბაზოს რეაბილიტაცია - დასრულდა

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის

მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური

შეკეთება

მშვიდობის N4ა-ს სახურავის რეაბილიტაცია - მიმდინარე

ხორავას N4 სახლის სახურავის რეაბილიტაცია - მიმდინარე

ხუნდაძის N55 სახლის სახურავის რეაბილიტაცია - დასრულდა

გადასახური მასალის შესყიდვა-გადაცემა

ჰიდროსაიზოლაცია - 16000 კვ. მ - შესყიდულია

გოფრირებული თუნუქი - 5000 კვ. მ - შესყიდულია

ფურცლოვანი თუნუქი - 1964,8 კვ. მ - შესყიდულია

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი

მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა

48 ცალი ტუმბო - შესყიდულია

9. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების

განხორციელება

1 ფანჯატურის მოწყობა სულხან-საბას N71 დასრულდა

2 ფანჯატურის მოწყობა გუგუნავას N13 დასრულდა

მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამა

ნიკეას N19,64-65-66 ბინებს შორის დასასვენებლად განკუთვნილი ფანჯატურის მოწყობა - დასრულდა

ნიკეას N19,64-65-66 ბინებს შორის დასასვენებლად განკუთვნილი ფანჯატურის მოწყობა - დასრულდა

დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი მიხეილ გიორგაძე :,, რა შეგიძლიათ გვითხრათ მიმდინარე სპორტულ -გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების რეაბილიტაციის შესახებ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი დავით ჭეიშვილი:

მიმდინარეობს:

როძევიჩის ქუჩის N2ა-ში მდებარე N11 სპორტული სკოლის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

#17 სპორტული სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 31.12.2024 წლის №1955 განკარგულება)

"ტანვარჯიშის დარბაზის სრული რეაბილიტაცია;

#12 სპორტსკოლის ფილიალის სრული რეაბილიტაცია;
სპორტსკოლის სრული რეაბილიტაცია;

ტაიკვანდოს

ჭადრაკის სკოლის (ბალახვანში) სრული რეაბილიტაცია."

№17 სპორტული სკოლის კრივის დარბაზისა და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქალბატონი მანანა ჩიხლაძე:
„რას გვეტყვით გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი დავით ჭეიშვილი: პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

ავტოქარხნის სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება)

ასევე, მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაციის სამუშაოები .

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ოცდამეცხრე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე


მ. ნიჭარაძე